

## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ბიუჯეტით გათვალისწინებულია:

მკურნალობა- ოპერაციები- 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

ერთჯერადი დახმარება - 60 000 (სამოცი ათასი) ლარი.

დიალუზის სახელმწიფო პროგრამა - 31 200 (ოცდათერთმეტათას ორასი) ლარი.

ომის ვეტერნების სარიტუალო მომსახურება - 4 000 (ოთხიათასი) ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 247 580 (ორას ორმოცდაშვიდათას ხუთას ოთხმოცი)

2020 წლის მიმდინარე პერიოდისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია **883** საგარანტიო წერილი (2019 წლის პერიოდში - 952 საგარანტიო წერილი). გაცემული საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების საერთო თანხამ შეადგინა **658 086** (ექვსას ორმოცდათვრამეტათას ოთხმოცდაექვსი) ათასი ლარი (2019 წელს 609 410 (ექვსას ცხრაათას ოთხას ათი ) ლარი). მათ შორის:

- ა) სოციალურად დაუცველი - 99 ბენეფიციარი.
- ბ) ომის ვეტერანი - 11 ბენეფიციარი.
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 56 ბენეფიციარი.
- დ) მრავალშვილიანი - 13 ბენეფიციარი.
- ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე - 1 ბენეფიციარი.
- ვ) მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე - 2 ბენეფიციარი.

სერვისის მომწოდებელ სხვადასხვა კლინიკებში გადარიცხულია **614 961** (ექვსას ოთხმეტიათას ცხრაას სამოცდაერთი) ლარი

ერთჯერადი დახმარება გაიცა **557** მოქალაქეზე, საერთო თანხით **55 700** (ორმოცდათხუთმეტი ათას შვიდასი) ლარი.

### თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება

- ▶ თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 27 ბენეფიციარს ეძლევათ ყოველთვიური ფინანსური დახმარება 80 (ოთხმოცი)

ლარის ოდენობით , საერთო თანხა 25 920 (2ოცდახუთიათას ცხრაას ოცი) ლარი. (2019 წელს დახმარება მიიღო 25 მოქალაქემ).

„კოვიდ-19“ პანდემიის გამო თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებს ჩაერიცხათ დამატებით თანხები ტრანსპორტის შეზღუდვებთან დაკავშირებით (აპრილი, მაისი, ივნისი-120 ლარი; ნოემბერი ,დეკემბერი - 80 ლარი) სულ 14,040 (თოთხმეტიათას ორმოცი) ლარი. საერთო თანხით 39 960 (ოცდაცხრამეტიათას ცხრაას სამოცი) ლარი.

### **აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა დახმარება**

- ▶ პროგრამით მოსარგებლები არიან აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირები. დახმარება გაიცემა კვარტალში ერთხელ, არაუმეტეს 250 (ორასორმოცდაათი) ლარისა.
- ▶ ცხრა თვის მანძილზე მომსახურება მიიღო 3 ბენეფიციარმა, სულ 3 000 (სამი ათასი) ლარი.

### **ჯანგბადის აპარატით მოსარგებლე პირების დახმარება**

- ▶ პროგრამით მოსარგებლე არის პირი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფორმა N100/ა) საფუძველზე საჭიროებს ოქსიგენო ტერაპიას.

მომსახურებით ირარგებლა 3 ბენეფიციარმა და სარგებლობს ოთხი. სულ 7 ბენეფიციარი.

### **სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება**

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებისათვის გაწერილი თანხა 250 (ირასორმოცდაათი) ლარი მიიღო ორმა ოჯახმა. საერთო თანხით 500 (ხუთასი) ლარი.

### **მეოთხე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

- ▶ პროგრამით მოსარგებლე არის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი რომელსაც შეეძინა მეოთხე და მეტი შვილი.
- ▶ პირს გადაეცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება გაიცემა თითოეულ ბავშვზე 200-200 ლარის ოდენობით
- ▶ ზემოაღნიშნული ფინანსური დახმარებით ისარგებლა 15 ოჯახმა, გაცემული თანხა 3400 (სამი ათას ოთხასი) ლარი (2019 წელს 11 ოჯახი- 2200 ლარი).

- ▶ „კოვიდ-19“ პანდემიის დროს, გაიცა 8200 სასურსათო კალათა - მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის.

### **დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ. პირების ფინანსური დახმარება**

- ▶ პროგრამით მოსარგებლები არიან აუტისტური სპექტრის, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სპეციალიზებულ დაწესებულებებში (ე.წ. დღისცენტრი)
- ▶ 2019წლის პირველი იანვრიდან დღემდე აღნიშნული მომსახურებით სარგებლობს 3 ბენეფიციარი, თითოეულ ბენეფიციარზე თვეში გაიცემა 72 (სამოცდათორმეტი) ლარი 50 თეთრი. Sul 2610 (ორიათას ექვსას ათი) ლარი.
- ▶ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს დღის ცენტრებით (იალონი, მომავლის რწმენა) მოსარგებლე ბავშვების უფასო ტრანსპორტირებას 168 000 (ასსამოცდარვა ათასი) ლარით.

### **უფასო სასადილო**

- ▶ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ, უფასო სასადილოთი სარგებლობს 43 ბენეფიციარი.  
უფასო სასადილოთი მოსარგებლე პირებს, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით (ახალი წელი, აღდგომა) დაურიგდათ სასურსათო პაკეტები.  
სასურსათო პაკეტები და ტკბილეული დაურიგდათ ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დღის ცენტრებს

### **ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება**

- ▶ ამ მუხლის შესაბამისად, დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს (გარდა სტიქიით დაზარალებული პირებისა).
  - ▶ ხანძრის შედეგად დაზარალებულ ექვს ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება საერთო თანხით 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. ერთი დაზარალებულის ოჯახი გაყვანილ იქნა ქირით. ქირის ოდენობამ შეადგინა 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი.

### **ცილაკით დაავადებული პირების ფინანსური დახმარება**

- ▶ დახმარება გაეწევათ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს რომელთაც შესაბამისი დოკუმენტაციით (ფორმა №IV-100/ა) დადგენილი აქვთ ცილაკის დაავადება.  
დახმარება მიიღო 3 ბენეფიციარმა კვარტალში 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, სულ 3 000 (სამი ათასი) ლარი.

### **ეტლით მოსარგებლე პირების დახმარება**

- ▶ საერთაშორისო ასოციაციის - „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანადგომით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე 32 ბენეფიციარს გადაეცათ ეტლები უსასყიდლოდ.

აღნიშნული გაგარბელება მომავალშიც.

### **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება**

- ▶ .მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარიტუალო მომსახურება ანაზღაურდება იმ პირებს რომლებიც გაიღებენ უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებს სარიტუალო მომსახურებისათვის.
- ▶ აღნიშნული მომსახურება მიიღო 2 პირმა, თითოეულზე 300 (სამასი) ლარი.

### **მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სკოლის მოსწავლეების ფინანსური დახმარება**

- ▶ ფინანსური დახმარება გაიცემა: 11-12 კლასის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სკოლის მოსწავლეებზე.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე საჯარო სკოლის მოსწავლეებზე გაიცა ფინანსური დახმარება- სულ 39 წარჩინებული მოსწავლე , თახით 9750 (ცხრაათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი თითოეულზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

### **პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ფეისბუქ <https://www.facebook.com/MtskhetaMunicipalityCityHall> გვერდითა და მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის <http://mtskheta.gov.ge/ka/home> საშუალებით მომხმარებლისთვის აქტიურად ავრცელებდა უახლეს ინფორმაციას, ყველა სიახლესა და ფაქტს, რომელიც ადგილობრივი საზოგადოებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო.

განსაკუთრებით ჩართული იყო პანდემიასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებაში და მას აქტიურად აშუქებდა.

განყოფილების მიერ წლის განმავლობაში გაშუქდა 500 ნიუსი, დაარქივდა ათასობით ფოტომასალა.

ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად მიმდინარეობდა ინფორმაციების განახლება მიმდინარე და დასრულებულ პროექტებზე, ტენდერებზე, აუქციონებზე, ბიუჯეტსა და სოციალურ პროექტებში შეტანილ ცვლილებებზე და სხვა.

ვთანამშრომლობდით რამდენიმე სააგენტოსთან, რათა მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობები მეტი მასშტაბით გავრცელებულიყო, ჩვენი ინფორმაცია საზოგადოების ფართე წრეებამდე მიგვეტანა.

სატელეფონო ზარებითა და ფეისბუქ 0.

გვერდზე შემოსულ შეკითხვებზე პასუხებით ვახდენდით მოქალაქეთა ინფორმირებას მათთვის საჭირო საკითხებზე.

ხელს ვუწყობდით მერიის პირველი პირების შეხვედრების ორგანიზებას.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „დეცენტრალიზაციის და კარგი მმართველობის ხელშეწყობა“-

ს ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან პარტნიორობით, მცხეთის მუნიციპალიტეტის პროექტი გახდა გამარჯვებული, წარმოდგენილი პროექტის მიზანი გახლდათ მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღებისათვის, მთავრობის მიერ შემუშავებული ინსტრუქციით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სრულად და ზედმიწევნით შესრულება.

პროექტი გრანტზე წარადგინა პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ.

„საუკეთესო ონლაინ მდგრადი ენერგეტიკის დღე“

პროექტი მერების შეთანხმება აღმოსავლეთით ([#CoMEast](#)) და [#მერებისშეთანხმებისმხარდამჭერი](#) საქართველოში, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო-ს (ეეც) მხარდაჭერით ჩატარებული კონკურსის მერების შეთანხმების ხელმძღვრე ქალაქების/მუნიციპალიტეტების შორის” საუკეთესო ონლაინ მდგრადი ენერგეტიკის დღე - 2020-ს-ის ორგანიზატორი“ „პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხში მაკა პეტრენკო.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ 16 დღიან კამპანიაში „ქალთა მიმართ ძალადობისა დმოფხვრის საერთაშორისო დღე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, პიარის განყოფილების ორგანიზებით აქტიური მონაწილეობა მიიღო.. აღსანიშნავია განყოფილების თანამონაწილეობა პანდემიის პირობებში „მცხეთობა-სვეტიცხოვლობის“ ღონისძიების განხორციელებაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის პიარის განყოფილების ორგანიზებით, მოხდა საქართველოს ჯანდაცვის ფედერაციის ექიმების შეხვედრა მოსახლეობასთან.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) - თან განყოფილების

თანამშრომლობით, ორგანიზაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მისაღებს აღჭურვილობით უზრუნველყოფს.

